რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განცხადება უკრაინის უმაღლესი რადას მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიკვიდაციისკენ მიმართული კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 22.08.2024. 2024 წლის 22 აგვისტოს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებმა დისტანციურ ფორმატში დაამტკიცეს ქვემოთ გამოქვეყნებული განცხადების ტექსტი (ჟურნალი No102).

2024 წლის 20 აგვისტოს უკრაინის უმაღლესმა რადამ მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტი „კონსტიტუციური წყობის დაცვის შესახებ რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის სფეროში“, რომელიც შესაძლებელს ხდის

სასამართლო წესით აიკრძალოს ნებისმიერი რელიგიური თემის საქმიანობა უკრაინის ტერიტორიაზე, თუ ის „აფელირებულია“ რუსეთის რომელიმე რელიგიურ ორგანიზაციასთან. სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იქნება „რელიგიური ექსპერტიზის“ დასკვნა, რომელიც „ჯადოქრებზე ნადირობის“ პირობებში შეიძლება ფალსიფიცირებული იქნეს.

კანონპროექტის ინიციატორები და მხარდამჭერები უკრაინაში –უმაღლესი რანგის ხელისუფლების წარმომადგენლები, უმაღლესი რადას დეპუტატები, რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, სქიზმატური ორგანიზაციებისა და უკრაინის ბერძნული კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები – არ მალავენ, რომ კანონპროექტი უშუალოდ მიმართულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, რომ ამ კანონის მიზანია მისი და მისი ყველა თემის ლიკვიდაცია ან იძულებითი წესით მათი გადაყვანა სხვა რელიგიურ ორგანიზაციებში. ამგვარად, ასობით მონასტერი, ათასობით თემი და მილიონობით მართლმადიდებელი მორწმუნე უკრაინაში აღმოჩნდება სამართლებრივ ჩარჩოებს მიღმა, დაკარგავს საკუთარ ქონებას და სალოცავ ადგილს.

2014-2023 წლებში რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდმა არაერთხელ აღნიშნა ზეწოლა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაზე, რომელსაც სახელმწიფო ანტირელიგიური პოლიტიკის უდავო მახასიათებლები ჰქონდა. კანონის დღევანდელი მიღება მოწმობს რეჟიმის უძლურებაზე, რომელიც მთელი თავისი პოლიტიკური არსებობის მანძილზე თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დასუსტებას, გახლეჩვას და განადგურებას.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა არაერთხელ დაამოწმა უკრაინაში მორწმუნეთა დევნა და ამის შესახებ მრავალგზის მიმართა გაეროს, ეუთოსა და ევროსაბჭოს სისტემებში შემავალ ორგანიზაციებსა და მსოფლიოს რელიგიური თემების ლიდერებს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის ბევრმა ექსპერტმა და უფლებადამცველმა ორგანიზაციამ აღიარა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა უფლებების დარღვევა, ამას ხელი არ შეუშლია კანონპროექტის მიღებისთვის, რომელიც ანადგურებს თვით იდეას სინდისის თავისუფლებისა და ადამიანის საბაზისო უფლებების შესახებ.

ეკლესიის დევნის პოლიტიკის მუდმივი ფონია უკრაინული მედიის მრავალწლიანი ცილისმწამებლური ანტიეკლესიური კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს კანონიკური მართლმადიდებლობის დიფამაციას, პროვოცირებს და ამართლებს ტაძრების მასობრივ მიტაცებებს სახელწოდებით „ნებაყოფლობითი გადასვლები“. ეს მიტაცებები ორგანიზებულია განხეთქილების მომხრეთა და რადიკალურ ნაციონალისტთა მიერ ადგილობრივი ხელისუფლების, სპეცსამსახურების და სამართალდამცავი ორგანოების მხარდაჭერით. როგორც წესი, ამას თან ახლავს ძალადობა, სასულიერო პირებისა და მორწმუნეების მასობრივი ცემა. მიმდინარეობს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის უმსხვილესი მონასტრების მიტაცება ან მიტაცების მცდელობა, მათი ბინადრების იძულებითი გამოსახლება.

პირდაპირი
ზეწოლა ხორციელდება უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაზე, მის ეპისკოპატზე და სამღვდელოებაზე უკრაინის სპეცსამსახურების მხრიდან. მუქარისა და შანტაჟის გარდა, ეს ზეწოლა გამოიხატა ათეულობით შეთითხნილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრითა და პოლიტიკური ნიშნით გამოტანილი უსამართლო განაჩენებით. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი რიგი მღვდელთმთავრები და მღვდლები დაკავებულია, პატიმრობამისჯილია ან უკვე შეფარდებული აქვთ უსამართლო განაჩენი.

უკრაინის ზოგ რეგიონსა და დასახლებულ პუნქტში ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირდაპირ „აკრძალა“ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობა; იძულებით ხურავს მის ტაძრებს, ხელს უშლის ღვთისმსახურების ჩატარებას, უკანონოდ ითვისებს მიწის ნაკვეთებს, სადაც განლაგებულია უმე-ს მონასტრები, ტაძრები, სიწმინდეები.

მას შემდეგ, რაც მრავალგვარი მცდელობის მიუხედავად ვერ მიაღწია უკრაინაში კანონიკური ეკლესიის შესუსტებას, მისი ერთიანობის შერყევას, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადადგა ნაბიჯი მისი აშკარა აკრძალვისკენ.

თავისი მასშტაბითა და ცენტრალიზებული ხასიათით, ამ ზომას შეუძლია გადააჭარბოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ აქამდე წარმოებულ ყველა ისტორიულ რეპრესიას, მათ შორის დევნას ბრესტის ბერძნულ-კათოლიკური უნიის დროს, და შეიძლება შედარებულ იქნას ისეთ სამწუხარო ისტორიულ პრეცედენტებთან, როგორებიცაა რომის იმპერიაში დევნა ნერონისა და დიოკლეტიანეს დროს, ასევე, ე.წ. საფრანგეთის დექრისტიანიზაციასთან მე-18 საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის წლებში, ათეისტურ რეპრესიებთან საბჭოთა კავშირში და ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განადგურებასთან 1960-იან წლებში ენვერ ხოჯას რეჟიმის მიერ.

მიღებული კანონპროექტი შეუთავსებელია კანონის უზენაესობის კონცეფციასთან და წარმოადგენს პოლიტიკურ დეკლარაციას, რომელიც მიზნად ისახავს უმრავლესობის რელიგიური თემის განადგურების ლეგალიზაციას. კანონი განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის დადგინოს პირთა ჯგუფი, რომელიც მიეკუთვნება უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას და მათთან მიმართებით მიზანმიმართულად განახორციელოს პოლიტიკური რეპრესიები.

განსაკუთრებული სიმწარით უნდა აღვნიშნოთ კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსისა და მისი თანამოაზრე იერარქების ნეგატიური როლი. ცალმხრივი, ნაჩქარევი და სასულიერო კანონების სულისკვეთების საწინააღმდეგო ქმედებებით, მათ არათუ არ განკურნეს, პირიქით, მხოლოდ გააღრმავეს საეკლესიო განხეთქილება უკრაინაში. ფანარიონის მიერ აღიარებული სქიზმატების ხელმძღვანელობა განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ფაქტიური აკრძალვის შესახებ კანონის მიღებას. ხოლო პატრიარქი ბართლომეოსი, რომელიც ადრე საჯაროდ იწონებდა მისი

იერარქებისა და სამღვდელოების სისხლისსამართლებრივ დევნასა და დაპატიმრებებს, ახლა, როგორც მღვდელთმთავრები ანა და კაიაფა, ღიად უჭერს მხარს სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებებს, რომელთა მიზანია უკრაინაში კანონიკური ეკლესიის ჯვარზე გაკვრა და განადგურება. კონსტანტინოპოლის პატრიარქს, ამგვარად, პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის დევნის ორგანიზებაში.

გამოვთქვამთ რა მტკიცე რწმენას, რომ ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან ქრისტეს ეკლესიას (მთ. 16:18), – ისევე როგორც აქამდე ვერ მოერივნენ მას უსასტიკესი დევნის პერიოდებში, – და რომ უკრაინის მართლმადიდებელი ქრისტიანები გაბედულად და მტკიცედ შეხვდებიან მათთვის გამზადებულ ახალ განსაცდელებს და დაძლევენ მათ იესოს ძალით, რომელმაც შეგვიყვარა და რომელიც არის ძე ღვთისა (რომ. 8:37) – მოვუწოდებთ მთელი მსოფლიო მართლმადიდებლობის სისავსეს, გააძლიეროს საკუთარი ლოცვები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, რომელიც მწუხარებაში და დიდ განსაცდელში იმყოფება *ღვთის სიტყვისა და იესო ქრისტეს მოწმობისათვის* (გამოცხ. 1.9).

მოწოდებით მივმართავთ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებს, დაუყოვნებლივი და ობიექტური რეაგირება მოახდინონ უკრაინაში მორწმუნეების აღმაშფოთებელ ჩაგვრასთან დაკავშირებით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92123/